ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3735898

ნომერი: AR1563524

თარიღი : 08.12.2017

გაცემის თარიღი : 15.12.2017

გაცნობის თარიღი : 15.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა ,,აგატს" შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ქუხილავა პ/ნ 01005045040
- ქ. თბილისი, კედიას ქ. 3, ბინა 1

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2815393
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.09.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა ხელახლა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 08 დეკემბრის AR1563524 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს მამუკა ქუხილავას უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან გიორგი მუჯირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
2. მიჯნის ზონაში განთავსებული ღიობებზე წარმოადგინეთ თანხმობა ან/და მოიყვანეთ კანონთან შესაბამისობაში;
3. საჭიროა ტერიტორიაზე მოწყობილი იქნას გამწვანება და დაცული კ3 გამწვანების კოეფიციენტი.
4. კონდიცირებისთვის მოეწყოს მილკვადრატის ცხაურები, დაუშვებელია აღქმად ადგილებში აგრეგატების მოწყობა შენიღბვის გარეშე;
5. ,,ე-ზ'' ფასადზე მოწყობილი წყალშემკრები მილი და სატელიტური ანტენა დაუშვებელია სცდებოდეს საკადასტრო საზღვრებს, წარმოდგენილ იქნას დამატებით არსებული სიტუაციის სურათები კონკრეტულ მონაკვეთში;
6. დასრულებულ იქნას სამშენებლო სამუშაოები და საყრდენი კედელი მოწყობილ იქნას საკადასტრო საზღვრებში;

საჭიროა აღნიშნული სამუშაოების შესრულება ასახული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის აქტში, დამატებით წარმოადგინეთ გეგმა 0.00 ნიშნულზე გამწვანების ფართის დაფიქსირებით, სადაც ასევე ასახული იქნება საყრდენი კედლები, გეგმა უნდა იქნას დამოწმებული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.